



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1063
01/06/2018

ქალაქი ბათუმი

1063-05-4-201806011404



გიორგი ქურიძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მშენებლობის ინსპექტირებისა და ზედამხედველობის განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის I რანგის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის, 107-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №09 დადგენილების, მირზა ბახტაძის 2018 წლის 18 მაისის №1411-05 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი 2018 წლის 15 მაისის „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის (ღია კონკურსი ან დახურული კონკურსი) ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №4“ - საოქმო გადაწყვეტილებისა და გიორგი ქურიძის 2018 წლის 25 მაისის №1494-05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. გიორგი ქურიძე გათავისუფლდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მშენებლობის ინსპექტირებისა და ზედამხედველობის განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსის თანამდებობიდან და დაინიშნოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის I რანგის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, 2018 წლის 01 ივნისიდან.

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა